ლიბერთი

# გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელი ოვერდრაფტის ხელშეკრულება #

ქ. თბილისი, საქართველო 01 იანვარი, 2022 წელი

**1. წინამდებარე ოვერდრაფტის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:**

1.1. **ბანკი:**

| | | |
|---|---|---|
| 1.1.1. | საფირმო სახელწოდება: | **სს "ლიბერთი ბანკი"** |
| 1.1.2. | იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი: | |
| 1.1.3. | საიდენტიფიკაციო კოდი: | 203828304 |
| 1.1.4. | ელ-ფოსტა: | |
| 1.1.5. | ტელეფონი: | |
| 1.1.6. | წარმომადგენლის სახელი და გვარი: | |
| 1.1.7. | წარმომადგენლის თანამდებობა: | |

1.2. **კლიენტი:**

| | | |
|---|---|---|
| 1.2.1. | სახელი და გვარი/სახელწოდება: | |
| 1.2.2. | პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი: | |
| 1.2.3. | საკორესპონდენტო მისამართი: | |
| 1.2.4. | ტელეფონი: | |
| 1.2.5. | ელ-ფოსტა: | |
| 1.2.6. | წარმომადგენელი (ხელმომწერი/თანხმობის განმცხადებელი პირი) | |
| 1.2.7. | სახელი, გვარი, პირადი ნომერი: | |
| 1.2.8. | წარმომადგენლის თანამდებობა: | |

**2. ოვერდრაფტის ხელშეკრულების საგანი**

2.1. წინამდებარე **ოვერდრაფტის ხელშეკრულების** და **ოვერდრაფტის ხელშეკრულების** 2.2. პუნქტში მითითებული **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად **ბანკი** უფლებამოსილია (და არა ვალდებული) **კლიენტის** მოთხოვნისას **ოვერდრაფტის** ფარგლებში გასცეს **კრედიტი**, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, გადაიხადოს **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.2. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება:**

- ნომერი:
- თარიღი:

2.3. **ოვერდრაფტის** ძირითადი პირობები:

| | | |
|---|---|---|
| 2.3.1. | **ოვერდრაფტის** მოცულობა და ვალუტა: | თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა |
| 2.3.2. | **ოვერდრაფტის მიზნობრიობა:** | |
| 2.3.3. | **ოვერდრაფტის** მოქმედების ვადა: | რაოდენობა ციფრობრივად ([რაოდენობა სიტყვობრივად]) კალენდარული თვე, კერძოდ 20-- წლის -- ------------- |
| 2.3.4. | **ოვერდრაფტის** ათვისების ვადა: | **ოვერდრაფტის ხელშეკრულების** ხელმოწერიდან რაოდენობა ციფრობრივად ([რაოდენობა სიტყვობრივად]) კალენდარული თვე ან დღე |
| 2.3.5. | **ოვერდრაფტის** წლიური **საპროცენტო განაკვეთი:** | [პროცენტი ციფრებით] ([პროცენტი სიტყვიერად]) |
| 2.3.6. | **ოვერდრაფტის** გაცემის წესი და პირობები: | |
| 2.3.7. | **ოვერდრაფტის** და **საპროცენტო სარგებლის** დაფარვის წესი და პირობები: | |
| 2.3.8. | **საკომისიო:** | |
| • | **ოვერდრაფტის** (**კრედიტის**) დამტკიცების/ათვისების **საკომისიო:** | |

| | | |
|---|---|---|
| • | **ოვერდრაფტის (კრედიტის)** მომსახურების ყოველთვიური **საკომისიო:** | |
| • | სხვა სახის **საკომისიო(ები)**: | |
| 2.3.9. | **<u>პირგასამტეხლო:</u>** | |
| • | **ოვედრაფტის** ძირითადი თანხის **(კრედიტის თანხა)** და **საპროცენტო სარგებლის** გადახდის ვადაგადაცილების **პირგასამტეხლო:** | |
| • | **ოვერდრაფტის (კრედიტის)** (სრულად ან ნაწილობრივ) ვადაზე ადრე დაფარვის **პირგასამტეხლო:** | |
| • | სხვა სახის **პირგასამტეხლო(ები)**: | |
| 2.3.10. | **ოვერდრაფტის ხელშეკრულების** სპეციფიკური პირობები: | |

**3. საკრედიტო საინფორმაციო ბიურო**

3.1. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (შემდგომში - **ბიურო**) ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

3.2. **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

**4. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები**

4.1. **ოვერდრაფტის ხელშეკრულება,** მასში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის ჩათვლით, წარმოადგენს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებას** და თუ თავად **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, მათ შორის და არამარტო ტერმინთა განმარტებები, **კლიენტის განცხადებები და გარანტიები**, **გენერალური საკრედიტო ხაზით** სარგებლობის, **მხარეთა** პასუხისმგებლობის, **მხარეთა** კომუნიკაციის პირობები და სხვა.

4.2. **ოვერდრაფტის ხელშეკრულების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცათ **მხარეებს.**

**5. მხარეთა ხელმოწერები**

| ბანკი | კლიენტი |
|---|---|
| ____________________ | ______________________ |